ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4288171

ნომერი: AR1647822

თარიღი : 03.12.2018

გაცემის თარიღი : 03.12.2018

გაცნობის თარიღი : 06.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფხოვი , N3 (ნაკვ.20/20); ქალაქი თბილისი , ქუჩა ფხოვი , N3-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ფხოვი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე მაღლაკელიძე პ/ნ 01005011804
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 27

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სასტუმრო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2018 წლის 03 დეკემბრის AR1647822 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში,ფხოვის ქ. N3 ნაკვ. 20/20), ფხოვის ქ. N3-ის მიმდებარედ, ფხოვის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი N01.15.04.020.031) სასტუმროს განთავსების მიზნით სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ში (სსზ-2) განაშენიანების რეგულირების მინიმალური პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები მინიმალური ფართობი: 700 კვ.მ, მინიმალური სიგანე: 20 მეტრი, მინიმალური სიღრმე: 30. საპროექტო მიწის ნაკვეთები არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პარამეტრებს საჭიროა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში დააყენოთ ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭების მოთხოვნა და განცხადება შესაბამისი მოთხოვნითა და ნომენკლატურით ატვირთოთ საიტზე: https://urban.tbilisi.gov.ge .

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ტოპოგეგმა არ შეესაბამება საკადასტრო გეგმებს, ამასთან ტოპოზე ნაჩვენები უნდა იქნეს ხაზობრივი ნაგებობა, რომელიც კვეთს მიწის ნაკვეთს საკადასტრო კოდით 01.15.04.020.031;
2. წარმოდგენილი იქნეს რეალური და აღქმადი, საპროექტო ტერიტორიაზე დამონტაჟებული ბანერის ფოტო;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 24 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.